

ტექნიკური პლატფორმა

რადიოსადგურის ტექნიკური პლატფორმა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად - ტექნიკური აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა . ცალკე უნდა განვიხილოთ აუდიოსიგნალის გადამცემ ტრაქტამდე მიტანა და თავად გადამცემი ტრაქტი.

ტექნიკური აპარატურა წარმოადგენს აუცილებელ ნაკრებს მაღალხარისხიანი აუდიოსიგნალის მისაღებად, მისი კონვერტაციისა და გაგზავნის მიზნით. ტექნიკის ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ **დანართი 1** . არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ამ ჩამონათვალმა მცირე კორექტირება განიცადოს უფრო ხარისხიანი პროდუქტის შერჩევის მიზნით

პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფა ავტომატიზირებული სისტემა შერჩეული იქნება დეტალური კვლევის და კონსულტაციის შედეგად, ასევე მისი საიმედოობის გათვალისწინებით. პროგრამული უზრუნველყოფად არჩეულ იქნა: რადიო მაუწყებლობის სფეროში საყოველთაოდ ცნობილი ავტომატიზირებული სისტემა (პროგრამა) **jazler radiostar** რომელიც საშუალებას იძლევა რადიოეთერის ავტომატურ რეჟიმში მართვის, ეთერის ავტომატური პროგრამირების, სარეკლამო ჭრების მოქნილი მენეჯმენტს და გააჩნია მონიტორინგის ფუნქცია..

აუდიოსიგნალის მიწოდება გადამცემ ტრაქტამდე განხორციელდება ინტერნეტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით, ასეთი გადაწყვეტა უკვე კარგად არის აპრობირებული როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გარდა ამისა კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას აზერბაიჯანულ – კომპანია **azercosmos** - სთან **AZERSPACE 1** სატელიტით სიგნალის მიწოდებაზე.

გადამცემის ტრაქტი - მისი კომპონენტები სრულად დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც სპეციფიკაციასა და ადგილმდებარეობას უკავშირდება. დეტალური ინფორმაცია რადიოგადამცემის შესახებ **დანართი 2**.

დანართი 1

ჩამწერი სტუდიის აპარატურა					
დასახელება	ბრენდი	რაოდენობა			
პულტი	Mackie (ProFx8 USB Mixer)	1			
ხმის პროცესორი	Symetrix 628	1			
მიკროფონი	ELECTO VOICE RE320	1			
სატელეფონო ჰიბრიდი	JK Audio	1			
ყურსასმენი	Sony MDR 7506	2			
ხმის მონიტორები	Yamaha (HS5) / Alesis / JBL	1x2 (წყვილი)			
კომპიუტერი		1			
UPS		2			

კომუნიკაცია					
დასახელება	კომპანია	რაოდენობა			
ინტერნეტი (ოპტიკა)	სილქნეტი, მაგთი	1x1			
სატელეფონო კავშირი	სილქნეტი, myphone.ge	2x4			
მედია კონვერტორები					
ინტერნეტის ინსტალაცია					

აღსანიშნავია რომ კომპანია როგორც პროდაქშენ სტუდია 2008 წლიდან არსებობს შესაბამისად კომპანია უკვე ფლობს , დანართი 1 -ში ჩამოთვლილ აპარატურას . გამოცდილ პროფესიონალთა გუნდს აპრობირებული აქვს აღნიშნული ტექნიკით და ტექნოლოგიით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.